პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 82 (13203) | ხუთშაბათი, 8 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

შეხვედრა კრემლში

მოსკოვი, 7 აპრილი. (საკადესი). დღეს დილით ლენინგრადიდან მოსკოვში დაბრუნდა პაკისტანის პრეზიდენტი ფელდმარშალი მოჰამედ აიუბ ხანი. მოჰამედ აიუბ ხანთან ერთად დაბრუნდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ს. პოლიანსკი და სხვა ოფიციალური პირები.

7 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიქოიანი კრემლში შეხვდა პაკისტანის პრეზიდენტს მოჰამედ აიუბ ხანს.

ა. ი. მიქოიანსა და მოჰამედ აიუბ ხანს შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროს განაგრძეს აზრთა გაცვლა-დაცვა საერთაშორისო პრობლემებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობის საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ აზიის განყოფილების გამგე ვ. ი. ლიხაჩოვი.

პაკისტანის მხრივ საუბარს დესწრნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრი ზ. ა. ბუტტო, საგარეო საქმეთა მდივანი აზიზ აჰმადი. (საკადესი).

მხარს უჭერენ ჩადუნელის ბრიგადას

შესანიშნავი თაობა

გულდასმით გავეცანი ცნობილი ნოვატორის გ. ჩადუნელის ინიციატივას. სიმართლე უნდა თქვას, ძალზე მომეწონა. ის [illegible] ორგანიზაციული [illegible] რისმოქმედია.

მართლაც, რა საამაყოა მოდიოდე საპირველმაისო დემონსტრაციაზე კოლონების თავში და ხელში გეჭიროს დროშა, რომელიც მოიპოვე მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, მთელ კოლექტივში ყველაზე უკეთესი წარმატებების მიღწევისათვის.

როცა ჩადუნელის ამ ინიციატივას გავეცანი, მაშინვე მოვიწვიე ბრიგადის წევრების თათბირი და, ისევე როგორც ჩადუნელმა, ავიღეთ ახალი საპატიო ვალდებულებები. აი ისინიც: ფოლადის გამოდნობის აპრილის დავალება შევასრულოთ 28 რიცხვისათვის, ყველა ნადნობი გვქონდეს უმაღლესი ხარისხისა, სანიმუშო წესრიგში ვიქონიოთ სამუშაო ადგილი.

ვფიქრობ, ჩადუნელის ამ ღირსშესანიშნავ თაოსნობას მხარს დაუჭერს ჩვენი ქარხნის მთელი კოლექტივი.

ა. ფანცულაია.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სოფლის კულტურის კერები

„ჩვენი რაიონის ბევრ სოფელში ნახავთ ახალშენებებს. ეს მეურნეობათა ეკონომიკის ზრდის ნამდვილი მაჩვენებელია. დიდდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი შემოსავალი, უკვე შეგვიძლია კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოვყოთ მნიშვნელოვანი სახსრები. მაგალითად, შარშან რაიონის მეურნეობებმა კულტფონდისათვის გადარიცხეს 400 ათას მანეთზე მეტი. ამ ფულით შენდება ახალი და აღიჭურვება კულტურის მოქმედი კერები. დამთავრდა თხუთმეტი მშენებლობა. ახალი საკლუბო შენობები მოხერხებული და ლამაზია. შემოდგომისათვის ასეთ კულტურის სახლებს მიიღებს კიდევ თოთხმეტი კოლმეურნეობა. 1967 წელს — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის კი თვითეული სოფელს ექნება ჩინებული კლუბი. ამ კლუბებს ფილიალები ექნებათ ფერმებსა და ბრიგადებში. კულტურის კერების გარშემო შენდება პარკები და სპორტული მოედნები“.

ეს წერილი გამოუგზავნეს „პრავდას“ უკრაინიდან, ვინიცის ოლქის კრიჟოპოლის რაიონიდან, კლუბის მუშაკებმა ა. პობერეჟნიმ, ვ. კნიაზკამ და ფ. ვენგერსკაიამ. კარგი თაოსნობა, რაზეც წერილშია ლაპარაკი, ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ვრცელდება. ჩერკასის ოლქში ახალგაზრდობის ძალებით შენდება კულტურის 118 კერა. კლუბების მასობრივი მშენებლობა წარმოებს კიევის, ნიკოლაევის, ჟიტომირის, კიროვოგრადის, ჩერნიგოვისა და სხვა ოლქებში. უკრაინაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის დასახული სულ აშენდეს ორი ათას ხუთასზე მეტი სასოფლო კლუბი.

კლუბები და ბიბლიოთეკები სოფლის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია. სწორად აქცევენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კულტურის ორგანოები, როცა თავს უყრიან ძალებსა და სახსრებს ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის. ყველა რაიონში გაიმართა პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებები, რომლებმაც განიხილეს კულტურული მშენებლობის საკითხები. შეიქმნა კულტურის რაიონული საუწყებათაშორისო საბჭოები. ეს საბჭოები აერთიანებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების ღონისძიებებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან მონაწილეობდნენ კლუბების მატერიალური ბაზების განმტკიცებასა და კლუბებისათვის კადრების მომზადებაში. უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ შეისწავლა და მოიწონა ასეთი საბჭოების მუშაობის გამოცდილება.

საკოლმეურნეო სოფლის კულტურისათვის ფართო მოძრაობა, რაც გაჩაღდა უკრაინაში, შეეხებამება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა საარსებო სულიერ მოთხოვნილებებს, საბჭოთა სოფლის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა შეიმუშავა დიდი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. სოფლის პარტიული ორგანოების საქმიანობაში მთავარი და განმსაზღვრელი ის არის, რომ ყოველდღიურად იზრუნონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებისათვის, პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ამასთანავე პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდნენ სოფლის მშრომელთა კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ზრუნავდნენ იმისათვის, რომ სოფლებში იყოს კარგი კლუბები, ბიბლიოთეკები, სკოლები, მაღაზიები.

სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების აღმავლობის მძლავრი ბერკეტია. არა მარტო უკრაინაში, არამედ სხვა რესპუბლიკებშიც ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება სოფლის მოსახლეობის კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. მაგალითად, უზბეკეთში წელიწადახევარში აშენდა 160 კლუბი, რომლებსაც კინოდანადგარები აქვთ, და გაიხსნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 635 ახალი ბიბლიოთეკა. რუსეთის სფსრ მთელი რიგი ოლქებიდან — კუიბიშევის, ნოვოსიბირსკის, გორკის ოლქებიდან გვაკუთხინებენ, რომ მტკიცდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზა და უმჯობესდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება სოფლად.

სამწუხაროდ, საქმის ვითარება ყველგან ასეთი როდია. ხარედაქციო ფოსტაში ხშირად მოგვდის სიგნალები, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი გულგრილად ეკიდება ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ სოფელ ლესელიძიდან გვწერენ, რომ კლუბი დაკეტილია. კურსკის ოლქის მოელი რიგი სოფლებიდან კი გვატყობინებენ, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ბედის ანაბარად არის მიტოვებული.

კომუნისტური პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სოფლად კულტურის განვითარებას. კულტურულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებასთან ერთად საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ მათი საქმიანობა. სოფლის პარტიული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი საბჭოების მოვალეობაა სრულყონ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ხელმძღვანელობა, უფრო სრულად გამოიყენონ ის ხელსაყრელი შესაძლებლობანი, რასაც ქმნის კულტურის დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცება.

კულტურის კერების საქმიანობის ხელმძღვანელობაში მთავარია ვიზრუნოთ მისი იდეური შინაარსისა და მიზანსწრაფულობისათვის. „პარტიულ მუშაობაში, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენ შევივიმუშავეთ მასებზე ფართო ზემოქმედების ჩვევები, მაგრამ ეს ჩვევები უნდა შევუერთოთ კულტურულ-საგანმანათლებლო მეთოდებს...“ ეს ლენინური მითითება გვავალებს განუწყვეტლივ ვზრუნავდეთ კულტურული დაწესებულებების — მასებში პარტიული ორგანიზაციების აღმზრდელობითი მუშაობის დასაყრდენი პუნქტების როლის ამაღლებისათვის, სოფლად კულტურის თვითეული კერა უნდა გახდეს ცენტრი, რომელიც ცხოველ პროპაგანდას გაუწევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებებს, დარაზმავს მინდვრებისა და ფერმების მშრომელებს ამ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, აღზრდის ადამიანებს კომუნისტური მორალის სულისკვეთებით. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ კლუბსა და ბიბლიოთეკაში ადამიანებს შეეძლოთ შეიგონონ ცოდნა, გაეცნონ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს.

ამასთან განსაკუთრებით საჭიროა უზრუნველვყოთ კულტურის კერების მუშაობის ქმედითობა, ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან მისი მჭიდრო კავშირი. ჩვენ გვესაჭიროება არა განყენებული განმანათლებლობა, არამედ მებრძოლი, მაღალიდეური, მკაფიო ფორმის, კონკრეტული აღმზრდელობითი მუშაობა ადამიანებთან, რომელიც გაუძლიერებს მათ მისწრაფებას იშრომონ უფრო ნაყოფიერად და დაეხმარება ახალ წარმატებათა მოპოვებაში.

გასაგებია, რომ სოფლის მაღალი კულტურისადმი ბრძოლა არ შეიძლება განსაზღვროს ხაკლუბო დაწესებულებათა მშენებლობით და მათი საქმიანობის გაუმჯობესებით. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები თვალყურს უნდა ადევნებდნენ კულტურული ცხოვრების ყველა მხარეს. პრესის გავრცელება, წიგნის ვაჭრობა, რადიოფიკაცია და კინოფიკაცია, სოფლების კეთილმოწყობა — ყველა ეს და ბევრი სხვა პრობლემა შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს.

დადგა გაზაფხული. ახლა საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ მინდვრად მომუშავე ადამიანები მუდმივად გრძნობდნენ მათთვის ზრუნვას. შეეძლოთ დასვენებაც საათებში მოისმინონ ლექცია, საუბარი, კონცერტი, გაეცნონ მოწინავეთა გამოცდილებას. ნახონ ახალი კინოფილმი. ამიტომ კულტურულ-საგანმათლებლო მუშაობის ცენტრი საველე ბანაკებში უნდა გადავიტანოთ.

კულტურის კერების საქმიანობის გაუმჯობესება, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცება სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის მებრძოლაში.

ოპრავდა

• 7 აპრილის მოწინავე

სოფლის კულტურის კერებს

... ...

... ...

... ...

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის სიტყვა

(დასასრული)

ჩვენ გვაერთიანებს უწინარეს ყოვლისა საერთო სოციალური წყობილება, საერთო მიზნები და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. ჩვენი ხალხები მხარდამხარ იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, ხელიხელჩაკიდებულნი შრომობდნენ ომით დაზგრეული სახლთა მეურნეობის აღდგენისათვის, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის. ჩვენ ერთად ვიყავით როგორც ნათელ დროს, ისე მკაცრი განსაცდელის დღეებში.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა და წარმატებით ვითარდება მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა. ამ ურთიერთობის სისწორეზე, იმაზე, თუ როგორ წარმართავთ მას, ბევრად აოის დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოების ეკონომიური განვითარება, და, მაშასადამე, ჩვენი ხალხების ცხოვრების დონე, თითოეული მშრომელი ადამიანის კეთილდღეობა. ამიტომ კაპიტალისტური სამყაროსაგან განსხვავებით, ჩვენი ეკონომიური შეთანხმებანი აოის არა მარტო სახელმწიფოთა, არამედ ხალხთა შეთანხმებანი. ისინი ახლობელი და გასაგებია თითოეული მუშისათვის, თითოეული გლეხისათვის, რომელიც დაინტერესებულია მათს წარმატებით შესრულებაში. ახალი საზოგადოების აშენება ჩვენ გვიხდება ისეთ პირობებში, როცა იმპერიალიზმის რეაქციული წრეები ქმნიან სამხედრო საშიშროების კერებს, ყოველი ღონისძიებით ცდილობენ შეაჩერონ ხალხთა დიადი მოძრაობა ეროვნული და სოციალური განთავისუფლების გზაზე.

აქ, ეროცლავში, განსაკუთრებით აქტუალურია მზვიდობა და ხალხთა უშიშროების წინააღმდეგ იმ ძირგამომხარეული მუშაობის საკითხი, რომელსაც ეწევიან იმპერიალისტთა ყველაზე რეაქციული ძალები და, კერძოდ, დასავლეთგერმანული რევანშისტები, რომლებიც ცდილობენ გადახსნიან მეორე მსოფლიო ომის შედეგები.

რაც უნდა უსაფუძვლო და ბოდვითი იყოს ეს მისწრაფებანი, არ შეიძლება არ დაეანახოთ, რომ ისინი ქმნიან დაძაბულობის წყაროს, დამატებით სიძნელეებს ევროპის პრობლემების გადაწყვეტის გზაზე, აძნელებენ მშვიდობის განმტკიცების ამოცანას. ევროპის უშიშროების ინტერესები მოითხოვს მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების შეუნელებელ ყურადღებას.

სამხედრო ავანტიურების მოყვარულთა გზაზე მტკიცე დაბრკოლებაა ვარშავის ხელშეკრულება. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს, რომლებიც მოქმედებენ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით, შეუძლიათ ყოველგვარი საფრთხე აიცილონ თავიანთ ხალხებს და დაიცვან მშვიდობის ინტერესები. დარწმუნებული ვართ, რომ დასავლეთ ევროპის ხალხებს აგრეთვე არ სურთ ომი და ესმით, რომ საჭიროა ბრძოლა ევროპის უშიშროებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ჩვენ უნდა ვიღწვოდეთ იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ევროპის ყველა ქვეყნის თანაშრომლობა მშვიდობის განმტკიცებისათვის, შეექმნათ უშიშროების სისტემა ევროპაში.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ახალ ხელშეკრულებას ჩვენ ხელი უნდა მოვაწეროთ შეოთიან საერთაშორისო ვითარებაში. არ შეიძლება არ დავინახოთ და არ გავითვალისწინოთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნა დაძაბული მდგომარეობა. მეტიც, ფაქტიურად იქ ომის მდგომაოეობაა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ. ამერიკის შეეიოგებულმა შტატებმა დაარღვიეს და ეარღვიეს ჟენევის შეთანხმებანი და დაადგნენ აშკარა სამხედრო კონფლიქტის გზას.

ამერიკის სამხედრო წრეები ბარბაროსული სისასტიკით ცდილობენ ჩაახშონ სამხრეთვიეტნამელი ხალხის განმთავისუფლებელი ბრძოლა, ირღვევენ ლაოსისა და კამბოჯის სუვერენიტეტს. ამერიკელი აგრესორები შექარიდან გადაეიდნენ პირდაპირ საომარ მოქმედებაზე სოციალისტური ხალხებრძოლა — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. მათი ავიაცია ავიაბომბებს თავს ესხმის ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიას, ცდილობს მიაღწიოს შეუძლებელს — ამიტომაც, დაიმორჩილოს ხალხი, რომელმაც იარაღით ხელში მოიპოოა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გახდა თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი.

თუ ამერიკის იმპერიალისტები დაადგნენ ახალი სამხედრო ავანტიურების, იდეოლოგიურ ომის გაფართოების გზას, ეს უეჭველია ყოველისა მოწმობს, რომ გაკეტრდა სამხრეთ ვიეტნამში შეიარაღებული ინტერვენციის მათი პოლიტიკა. ყოველივე პროგრესულის სიძულვილით უნდა ეყოთ დაბრმავებული, რომ იმედი იქონიონ ერთი მუჭა მარიონეტი გენერლებისა და პოლიტიკანების დახმარებით, რომლებიც არავის წარმომადგენელნი არ არიან, ჩაეხშო მთელი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისადმი. სამხრეთ ვიეტნამის ბატროტები სულ უფრო საგრძნობ დარტყმებს აგემენენ ამერიკელ ინტერვენტებს. ახლა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ გასთავისუფლების ეროვნული ფრონტი, რომელიც ხელმძღვანელობს სამხრეთვიეტნამელი ხალხის ბრძოლას, ის რეალური ძალაა, რომელსაც ეკუთვნის სამხრეთ ვიეტნამის აწმყო და მომავალი.

ამას წინათ ფართოდ გამოქვეყნდა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელშიც სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები მოუწოდებდნენ მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალებს მატერიალური და მორალური მხარდაჭერა აღმოუჩინონ მათს სამართლიან ბრძოლას. ამ განცხადებამ ფართო დაფენა გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, ყველა ადამიანში, რომელთათვისაც ძვირფასია პროგრესისა და მშვიდობის საქმე.

არ შეიძლება სათანადოდ არ შეეფასოთ თუ რამდენად სერიოზულია შექმნილი მდგომარეობა. თავისუფალი ხალხები გულრღვლად ვერ მოეკიდებიან თავისუფლების დაკვის საქმეს. ისინი ისევ ასეთ ეაოს არ აპატიებენ ამერიკის იმპერიალიზმს აგრესიას ვიეტნამში, ბარბაროსულ ომს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომლის დროს წყვეტენ უმწეო სოფლებს, სოფლებსა და ხაჟადაყოფოებს, ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, როცა იღუპებიან ქალები და ბავშვები. ამერიკის იმპერიალიზმს, ამ ბარბაროსული ომის ორგანიზატორს, ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულისათვის.

საბჭოთა ხალხი არა მარტო გმობს აგრესიულ მოქმედებას. იგი იყენებს არსებულ შესაძლებლობას, რათა პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას მის გმირულ ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მომზე სოციალისტური ქვეყნის მიმართ იმპერიალისტური აგრესიის წინაშე საბჭოთა კავშირი მოეწოდების ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და ხალხთა თავისუფლების საქმე, გამოიჩინონ ერთობა და სიმტკიცე, რათა საკადრისი პასუხი გასცენ აგრესორს.

ძვირთასო ამხანაგებო! პოლონეთში ყოფნის დროს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციო შეხვედა ესაუბრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელებს, პოლონეთის მთავრობის წევრებს. ამ ნამდვილად ამხანაგური საუბრების დროს ჩვენ განვიხილეთ ბევრი საკითხი, რომლებიც საინტერესოა ჩვენი ხალხებისათვის. ერთმანეთს გავუზიარეთ აზრი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ოუხლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ დაეცვათ, მშვიდობა, იმისათვის, რომ შემდგომ განვითარდეს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ძმური ურთიერთობა, იმისათვის, რომ გაიზარდოს და განვითარდეს ჩვენი ქვეყნებისა და ჩვენი ხალხების ეკონომიური თანამშრომლობა. ჩვენ განვიხილეთ აგრეთვე მთელი სოციალისტური ბანაკის შეკავშირების განმტკიცების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცების საკითხები.

და მოხარული ვართ მოგახსენოთ, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, პოლონეთის შესანიშნავი მუშათა კლასის წარმომადგენლებო, რომ სავსებით ემთხვევა ერთმანეთს შეხედულებანი, რომლებიც ამ პრობლემებზე გამოთქვეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა.

საუბრების დროს, ჩვენ, ისე როგორც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები ეხელმძღვანელობდით იმით, რომ ყველაფერი ეშველა, გაკეთდეს, რათა ხელი შეეწყოთ მუშათა კლასის საქმის გაძლიერებას. ამასთან ჩვენ ვხელმძღვანელობდით არა მარტო ეროვნული გრძნობებით, არამედ ინტერნაციონალური გრძნობებითაც, რომლებიც ასე ახლობელი და გასაგებია მთელი მსოფლიოს მუშებისათვის. ამიტომ ნება მიბოძოთ გამოვთქვა რწმენა, რომ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ისე, როგორც პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, მოიწონეთ ხელშეკრულება, რომელსაც ჩვენ ხელს მოვაწერთ, იმ მოლაპარაკების შედეგებს, რომლებსაც ჩვენ ვაწარმოებდით ჩვენი ქვეყნების მუშებისა და გლეხების სახელით.

ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა გულთბილი ამხანაგური შეხვედრისათვის და გეთხოვთ, რომ დღევანდელი შეხვედრა საერთო ბრძოლის მონაწილე ამხანაგების შეხვედრაა, შეხვედრაა ადამიანებისა, რომლებიც ერთად აშენებენ ახალ საზოგადოებას, ერთად იბრძვიან მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი საქმისათვის. ჩვენი პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ამხანაგურად, მეგობრულად გისურვებთ წარმატებებს, ყველა თქვენი მომავალი გეგმების შესრულებას. სულითა და გულით ვისურვებთ კეთილდღეობას ჩვენს დიდ მეგობარს, ჩვენს ძმას — სოციალიზმის მშენებელ პოლონელ ხალხს.

გაუმარჯოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მუშათა კლასს, გლეხობას, ინტელიგენციას!

დაე განვითარდეს და განმტკიცდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა!

დაე განმტკიცდეს და განვითარდეს თქვენი შესანიშნავი ქალაქი — ახალგზრდობის ქალაქი, ძალის ქალაქი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბოლო სიტყვები დაფარა მქუხარე ტაშმა. შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა ორი ქარხნის მუშებს გადასცა დელეგაციის სახელით: ვ. ი. ლენინის ბიუსტები და ალბომები საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მუშებმა დელეგაციის წევრებს გადასცეს საჩუქრები — იმ პროდუქციის მაკეტები, რომელსაც უშვებენ ეს სამრეწველო საწარმოები. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის ტაში და შემოძახილები პოლონელი და საბჭოთა ხალხების უჭკნობი მეგობრობის პატივსაცემად. ეღერს „ინტერნაციონალი“.

სკკპ ცკ-ის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში

საქალაქო და რაიონული პარტიული აქტივის კრებებზე

გუშინ, 7 აპრილს გაიმართა ქ. თბილისის რაიონებისა და რესპუბლიკის მთელი რიგი საქალაქო და სასოფლო რაიონების პარტიული აქტივის კრებები.

ამ კრებების მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები. ყველგან მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუციები.

რაიონული პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვები წარმოთქვეს: ქარელში— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. ჯავახიშვილმა, ახალციხეში** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **პ. როდიონოვმა,** გურჯაანში — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. ტატარუამ.**

ქარხანა ეხმარება კოლმეურნეობას

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები გულმოდგინედ ეცნობიან და განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ისინ[illegible] [illegible] [illegible] [

საერთაშორისო ცხოვრება

ურღვევი მეგობრობა

ვარშავა, 6 აპრილი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები გ. კისელიოვი და ვ. კუზნეცოვი იტყობინებიან:

პოლონეთის მთელი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ძეთაურობით. ამ ვიზიტის დროს გაგრძელდება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ვადა. სახალხო პოლონეთის მშრომელებს მიაჩნიათ, რომ ეს ხელშეკრულება მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურღვევ მეგობრობას, რომ იგი სოციალისტური მშენებლობის შემდგომ წარმატებათა საწინდარია.

ჩვენი ათასი წლის ისტორიაში არ ყოფილა უფრო კეთილნაყოფიერი მეგობრობა, საზაკანმთ აღნიშნავს გაზეთი „ბოლოს პრაკი", ვიდრე სოციალისტური პოლონეთის მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, არ ყოფილა ხელშეკრულება, რომელიც ყოფილიყო ესოდენ შესაბამისი მთელი ჩვენი ხალხის მიზნების და ინტერესებისა.

ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, წერს „ტრიბუნა ლუდუ", კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობებს დასახავს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის ცხოვრების ყოველ დარგში.

პოლონეთის ქალაქებსა და სოფლებში ხვიმით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების 20 წლისთავს. ამ მოვლენას მიეძღვნა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ისტორიის პირველი მდივნის ლ. ი ბრეჟნევის ძეთაურობით. ამ ვიზიტის დროს გაგრძელდება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული ოფიციალური ცერემონიალი. „მეგობრობა, დახმარება, თანამშრომლობა"—ასე ეწოდება ვარშავაში გახსნილ ფოტოგამოფენას. დიდი ტირაჟით გამოიდა ლამაზად გაფორმებული ალბომი „საერთო გზა" საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის შესახებ. იმართება საზეიმო კრებები და საღამოები, რომლებზეც მშრომელები იწონებენ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას.

დღეს ვარშავაში განახლდა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება. გრძელდება საბჭოთა სტუმრების ვიზიტი სტუმართმოყვარე პოლონეთის მიწა-წყალზე.

საერთაშორისო კონფერენცია ვარშავაში

ვარშავა, 7 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების 20 წლისთავს. კონფერენციაში მონაწილეობს 200-ზე მეტი პოლონელი ისტორიკოსი და სსრ კავშირის სლავთმცოდნეობის ინსტიტუტის წარმომადგენელი.

კონფერენცია გახსნა პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა პროფესორმა იანუშ გროშკოვსკიმ. კონფერენციის პირველ დღეს მოისმინეს სამი მეცნიერული მოხსენება: პროფესორმა ტადეუშ ცესლიაკმა გააშუქა „პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ისტორია, პროფესორმა ი. იურკევიჩმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობაზე 1917-1939 წლებში, ხოლო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სლავთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორმა ფ. გ. ზუევმა — საბჭოთა კავშირისა და პოლონელი ხალხების ერთობლივ ბრძოლაზე გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ.

ბოლო მოვუღოთ სამარცხვინო ომს!

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ამერიკის ავიაციის უპატიური თავდასხმები, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა სამარცხვინო ომი სამხრეთ ვიეტნამში კვლავ მსოფლიო საზოგადოებრიობის მტკიცე პროტესტებს იწვევს.

ლონდონი. აქ გამოქვეყნდა მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია „სერიოზული საფრთხე იმის გამო, რომ ახლანდელი კონფლიქტი შეიძლება დიდ საერთაშორისო ომად გადაიქცეს". მეცნიერ-მუშაკთა ეს ფედერაცია თავის რიგებში აერთიანებს მსოფლიოს 23 ქვეყნის 300 ათას მეცნიერს. ფედერაციამ მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ბოლო მოუღოს ომს ვიეტნამში.

დელი. აქ გამოქვეყნდა 49 თვალსაჩინო ინდოელი მწერლის განცხადება. განცხადებაში საუბრობენ მხარს უჭერენ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც იბრძვის ამერიკელ დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ამერიკის მხედრიონი სამარცხვინო პროვოკაციულ აქტებს იყენებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. ეს მობრძანებულ ინდიელ მწერალთა ტერიტორიას, ცხადყოფს თუ როგორი სიძულვილით უყურებენ ისინი მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხებს". გაზეთი ილუსტრირებს ამ დანაშაულებათა წინააღმდეგ.

ბუენოს-აირესი. არგენტინელ ქალთა კავშირმა მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია წვნა მთავრობის სახლს, სადაც დატოვა წერილი არგენტინის პრეზიდენტისათვის გადასაცემად. წერილს ხელს აწერს ათასობით ადამიანი. წერილში არგენტინის პრეზიდენტის არტურო ილიასაგან მოითხოვენ მხარი დაუჭიროს ამერიკის აგრესიის შეწყვეტას ვიეტნამში. დელეგაცია ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ბუენოს-აირესის საელჩოს და დატოვა საპროტესტო წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ბარბაროსული დაბომბვების წინააღმდეგ ვიეტნამში.

ხართუმი. „შეერთებული შტატები ბინძურ, ბარბაროსულ ომს ეწევიან სამხრეთ ვიეტნამში, — წერს გაზეთი „ალმაიადინი". — ის, რომ შეერთებული შტატები იყენებენ გაზებს და ცეცხლს უკიდებენ ვეებერთელა ტერიტორიას, ცხადყოფს თუ როგორი სიძულვილით უყურებენ ისინი მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხებს". გაზეთი ილუსტრირებს ამ დანაშაულებათა წინააღმდეგ

პენტაგონი ცდის...

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). „შეერთებული შტატები ვიეტნამში იყენებს ახალ იარაღს, რომელიც წინათ არ გამოუცდიათ ომში", — წერს ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი". სტატიაში ნათქვამია, რომ ვიეტნამში მყოფ ამერიკელ სამხედროებს „თავისუფლად შეუძლიათ გამოიყენონ ყოველი სახეობის იარაღი, რომელსაც ისინი ეფექტიანად მიიჩნევენ საბრძოლო მოქმედების გაჩაღებისათვის". ჟურნალი წერს, რომ ამერიკის თვითმფრინავები იყენებენ ახალ გრანატსატყორცნებს, რომლებსაც შეუძლიათ ნაღმები გაისროლონ დიდი გამანადგურებელი ძალის 200 მსხვრევადი გრანატა, ბომბებს „გველის თვალს", რომლებსაც მცელავი ფრენის დროს ყრიან, ახალ რაკეტებს. ჟურნალი არაფერს წერს მომწამვლელ ნივთიერებათა შესახებ, რომელსაც ინტერვენტები იყენებენ ვიეტნამში, მაგრამ აღნიშნავს, იზრდება უახლესი სახეობის შეიარაღების რაოდენობა, რასაც პენტაგონი ვიეტნამელ პატრიოტთა წინააღმდეგ იყენებსო.

ბუენოს-აირესი

ინდოელ მწერალთა ბრძოლა

ინგლისელ ინჟინერთა ბრძოლა

ინგლისელ ინჟინერთა ბრძოლა

ინგლისელ ინჟინერ

კინო

ახალგაზრდა ხელოვანთა გამარჯვება

რამდენიმე ხნის წინათ ქ. ობერჰაუზენში (დასავლეთ გერმანია) გაიმართა მოკლემეტრაჟიანი ნიფილმების მეთერთმეტე საერთაშორისო კინოფესტივალი. თავდაპირველად წარდგენილი იყო 30 ქვეყნის 200 ფილმი, მაგრამ საბოლოოდ კონკურსისათვის შერჩეულ იქნა 82. აქედან მთავარი პრემია ხვდა ქართულ ფილმს **„ქორწილს“** (რეჟისორი მ. კობახიძე). აღსანიშნავია, რომ კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციამ „ქორწილი“ ფესტივალის საუკეთესო ფილმად მიიჩნია და მიანიჭა მას თავისი ერთადერთი პრიზი.

საერთაშორისო კინოფესტივალების ისტორიაში არცთუ ისე ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა კინოფესტივალის სამი სრულიად დამოუკიდებლად მოაზროვნე ჟიური ერთსა და იმავე ფილმს ანიჭებს თავის მთავარ პრემიას. ფესტივალის შემდეგ მოსკოვის კინოს სახლში გამართულ შეხვედრაზე ამ გარემოებას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საბჭოთა რეჟისორმა ლ. კრასტინმ, რომელიც ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა. „ობერჰაუზენის ტრადიციული ფესტივალი, — განაცხადა მან, — ყველაზე მნიშვნელოვანი და ავტორიტეტულია მოკლემეტრაჟიანი ფილმების სფეროში. მისი მაყურებელი ყოველთვის საოცრად მოუთმენლად გაჩერებულა თავის დამოკიდებულებას წარმოდგენილი ფილმებისადმი. მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ პირველი სამი საბჭოთა ფილმის წარმატებლობის შემდეგ, დაიწყო თუ არა „ქორწილის“ ჩვენება, დარბაზის დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. ფილმის დემონსტრირებასთან სდევდა მაყურებელთა აღფრთოვანებული ტაში, ოასსრულ კი ხუთწუთიანი ოვაცია გამართეს...“

„ქორწილი“ ორნაწილიანი მხატვრული ფილმია, რომლის დამდგმელი რეჟისორია კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის დიპლომანტი მიხეილ კობახიძე. ფილმში ძალიან ჩვეულებრივი ამბავია მოთხრობილი. ბიჭს შეუყვარდება გოგონა, რომელსაც მხოლოდ ერთხელ მიაცილებს შინ. შემდეგ გოგონა სხვაზე თხოვდება. ასე მარტივია ფილმის სიუჟეტი, მაგრამ სამე ის არის, რა მაღალი პროფესიულობითა და დახვეწილი გემოვნებით. ესხმება მას ხორცი.

პოეზია, ჯანსაღი პოეზია და ცოცხალი იუმორი — აი რით სუნთქავს მთელი ფილმი, ფილმი, რომელიც პოეტის კ-ერგი ლექსიერი ერთი ამოსუნთქვით შეგიძლიათ წაიკითხოთ.

რაოდენი სიცოცხლე და ენერგია აქვს ამ ბიჭს, (მსახიობი გ. ქავთარაძე) ქუჩაში რომ მოაბიჯებს ამაყად და ირგვლივ ხალისსა და ბედნიერებას აფრქვევს. უყურებ მას და გკერა, რომ მხოლოდ კეთილი, უსაზღვროდ კეთილი და ფაქიზი ბუნების ადამიანი შეიძლება იყოს ასეთი. ფილმის დასაწყისიდანვე იწყება მისი ამგვარი დახასიათება და შემდეგ, კადრიდან კადრში, თანდათან ძლიერდება ეს კომპოზიციური ხაზი...

ყოველივე ამას კი რეჟისორი აღწევს მხოლოდ პლასტიკის საშუალებით. მხოლოდ პლასტიკური სახეებით ძერწავს გმირთა ხასიათებს, და ამტრმაც ვერც ერთ კადრში ვერ ნახავთ ისეთ ელემენტს, თუნდაც უმნიშვნელოს, ამ მიზანს რომ არ ემორჩილებოდეს. შეთხზეევითობასა და ზედმეტობას საერთოდ ადგილი არა აქვს ამ პოეტურ ფილმში, ისევე როგორც ხმოვან სიტყვას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „ქორწილი“ ძველ მუნჯურ ფილმებს მოგვაგონებდეს. არა. უყურებ ამ ფილმს და სრულიადაც არ მიგაჩნია საჭიროდ მის გმირთა ალაპარაკება. მსახიობები მოქმედება აქ იაეეე ბუნებრივი და პლასტიკური, როგორც ჩვეულებრივ ფილმებში. უსიტყვობის გამო მსახიობის ეტანი სრულებითაც არ არის გაძლიერებული აზრობრივად, არა აქვს დრამატული დატვირთვა. ეს ფუნქცია რეჟისორმა მუსიკას მიანჭა.

...აი ბედის ირონია. გათხოვილა მისი სატრფო. რა უეცრად დაემსგავსა რკინა, რა უეცრად გაუსრულდა იმედები.

აქ იყო ერთგვარი საშიშროება, რომ ეს მშვენიერი ლირიული კომედია დასასრულს მელოდრამად გადაქცეულიყო. მაგრამ რეჟისორის პროფესიულ მომწიფებასა და დახვეწილ გემოვნებაზე სწორედ ის მიგვითითებს, რომ მან იცის სად და, რაც მთავარია, როგორ დასვას წერტილი... რა ეუფთ, ასეც ხდება, ცხოვრება წინ არის და ეგებ კიდევ ბევრჯერ ჩავრდეს ამ დღეში. გაუძლებს, უნდა გაუძლოს... ასეთია ცხოვრება. მართალია, ზოგჯერ რასაც ვინატრებთ, არ გვისრულდება, მაგრამ ის ხომ გვრჩება ბრძოლის, ძიების ფერის საგნად. უამისოდ არ იქნებოდა ჩვენი სიცოცხლე ასე მჩქეფარე და საინტერესო. ეს ჯანსაღი ოპტიმიზმია „ქორწილის“ ფილოსოფიური აზრი, რომელიც კიდევ უფრო მეტ მხატვრულ და შემეცნებით ღირსებას აძლევს მას.

როცა ამ ფილმის ღირსებაზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გაესვას მის გამომსახველობითს მხარეს, რაც უდავოდ მაღალ დონეზეა. ეს, რა თქმა უნდა, ოპერატორ ნიკოლოზ სუხიშვილის დამსახურებაა. პირველეულ ყოვლისა მისასალმებელია, რომ ოპერატორი არ ცდილობს გაგვაკვირვოს მოჩვენებითი ეფექტებით. მისი ხელოვნების ძალა სიმარტივესა და ბუნებრიობაშია, რითაც დამტკიცა, რომ მას შეუძლია ღრმად ჩასწვდეს რეჟისორის ჩანაფიქრს.

და, ბოლოს, მსახიობებზე. უწინარეს ყოვლისა გვსურს სულით და გულით მივეფოლოოთ ახალგაზრდა მსახიობ გ. ქავთარაძეს ეს კინომატოგრაფიული დებიუტი. მსახიობმა ეკ. ვერულეიშვილმა ნამდვილად გაგვახარა ამ ფილმშიც და დაგვარწმუნა, რომ მისი სახით ჩვენს კინოსა და თეატრს სახასიათო როლების შესანიშნავი შემსრულებელი ჰყავს. საინტერესო სახეებს ქმნიან ავრეთვე მოსწავლე ნ. ქავთარაძე და ახალგაზრდა კინორეჟისორი გ. წულაძე.

საერთოდ, უნდა თქვას რომ პროფესიული თვალსაზრისით „ქორწილი“ უღრესად ჰარმონიული ფილმია. მას მალე ნახავს ჩვენი მაყურებელი და თავად იგრძნობს თუ რა ფრიად საინდოო რეჟისორი შეემატა ქართულ კინემატოგრაფიას ამ პოეტური ფილმის ავტორის სახით. აქ შეიძლებოდა კიდევ ბევრი რამ გვეთქვა მ. კობახიძეზე, რომ იგი არის აგრეთვე სცენარის ავტორი, რომ მასვე ეკუთვნის ფილმის მუსიკალური გაფორმება. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი მხოლოდ ახლა იწყება, როცა თავისი თვალსაჩინო სადიპლომო ნამუშევრით პირველი ნაბიჯი გადადგა კინემატოგრაფიის ფართო გზაზე.

გ. დოლიძე.

მზრუნველი მამა

— როგორა ხარ, ჩემო გოგონა? ო, რომ იცოდე, რარიგად გაახარე მამიკო შენი ნახვით.

— მამიკო შეცდა. მე გოგო კი არა, ბიჭი ვარ.

— რას ამბობ! წარმოგიდგენია, როგორ იცვლებიან ბავშვები! მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამას რა მნიშვნელობა აქვს. დღეს ჩვენ სასიამოვნოდ გავატარებთ ერთად დროს. რითი დავიწყოთ? ჯერ კაფეში წავიდეთ. შენ რა აზრისა ხარ ამაზე?

— აი, სადაც ნამცხვარია?

— ჰო, ჰო, სწორედ იქ. დაესხდეთ როგორც ორი მამაკაცი. მოვყვეთ ამ მთისა და იმ მთისას... სკოლაში როგორ არის საქმე? ორიანები გყავს?

— ახლახან ერთი სამიანი მივიღე...

— ერთი სამიანი! ჰა-ჰა! ნამდვილი მოვლენაა! მე შენს ასაკში ორიანებით ვიყავი გატენილი! ეს, რა უნდა თქვას კაცმა — დედას ბიჭი ხარ და ეგ არის!..

— მაშ ვისი ბიჭი უნდა ვიყო?

— მაგ გაგებით კი არ ვამბობ... სიცოცხლე გაკლია, აი რა! მახსოვს, შენ ხელა რომ ვიყავი, ოჰო-ჰო, მაშინ...

— რა მაშინ?

— ის, რომ ვოგოებს უკვე მზერას ეტყორცნდი. შენ როგორ უდგები ამ საკითხს? შენ კი არა სტყორცნი ხოლმე, ჰა?

— ერთხელ ეტყორცნე განა გავრონდკ... ქალაღლის ბურთულა. მასწავლებელმა თქვა, ეს ცუდი საქციელია და მამა მოვიდესო.

— მერე მიგიდა? ცხადია, დედაშენზე გეუბნები.

— დედაკო მიგიდა და იმანაც დამარიგა, ასე მოქცევა არ შეიძლებაო.

— ოჰო! არ შეიძლება! ყოველთვის დედას რომ დაუჯერო... აი ესეც კაფე.

მაგიდას მიუსხდნენ და წუთით ეყუჩეს. უხდებლად და მოუსვენრად შეესცქეროდნენ ერთმანეთს. საბედნიეროდ, მიმტანი მივიდა. მამა გამოიცხლდა:

— თუ შეიძლება, გეთაყვა, ერთი ფინჯანი ყავა და ხუთი დიდი ნამცხვარი მოიტანეთ. როგორიო? რა თქმა უნდა, ტკბილი, ჰე-ჰე-ჰე! ამა რას იტყვი, ჩემო შვილიკო, დიდას როდისმე მოუცია ერთად ხუთი დიდი ნამცხვარი?

— არა...

— საქმეც მაგაშია! ჯამე, ჯამე გაბეიდულად. ნორაფრისა ნუ გეშინია. მამიკოს შენთვის არაფერი არ ენანება. აბა ხუთი ზლუტი — რაც მოგეწონოს, იყიდე.

— მე არაფერი არ მომწონს... ხუთ ზლუტად.

— ჰმ... იცი რა, შვილო, მოთმინებით უნდა უმატო გრაშს გროში. შენს ასაკში მამიკოც ასე აგროვებდა.

— ახლა მე მამიკისაგან უკვე თხუთმეტი ზლუტი მეკუთვნება.

— ეს როგორ? განა წელს უკვე ორჯერ განაზე?

— არა, მაგრამ შარშან მამიკომ ათი ზლუტი მომცა.

— ამა! სწორია, მაშინ საქმე გამოდიოდა... ჯამე, ჯამე, ღმერთმა შეგარგოს. რა უცნაურად დაგიღიჭიკია სახე: აჰ, შე სამაგელო, ჭყანვას მოეშვი! ვის ეკუთხები! თავი დაანებე მანჭვა-გრეხას, შე არამზადავ!. ახლავე დაამთავრე ეგ ნამცხვარი და აქედან წავიდეთ!

— მეტის ჭამა აღარ შემიძლია...

— გეუბნები, სულ გაათავე! მოსმენე ერთი, ბიჭო, რატომ ხარ აგრე გაფითრებული? მოიცა, მოიცა, აქ არა, საპირფარეშოში გაიქეცი. ცხვირსახოცი გაქვს? რა ენდა ქნა ახლა! სად არის აქ ტელეფონი?

იგი ტელეფონთან მივიდა. სასწრაფოდ გადაათვალიერა უბის წიგნაკი და ნერვიულად დაიწყო ნომრის აკრეფა.

— ალო! შენა ხარ? გამარჯობა, ეს მე ვარ. მ-სმენე, ჩემო ძვირფასო. ახლავე მოდი და შენი ბავშვი წაიყვანე. ჰო, ჰო, ჩემიც. მაგრამ ახლა სხვა რამეს გეუბნები... გადაწყვიტე მთელი დღე მასთან გამეტარებინა. წარმოდგენა არა მქონდა, თურმე რა აუტანელი ბიჭი ყოფილა, თანაც ავადმყოფი შვილი გყოლია. საკვირაოს ექიმთან, ან სხვაგან სადმე წაყვანა... მე რა ვიცი, რა სჭირს? ბავშვს უნდა მიხედო, ჩემო ძვირფასო. ბავშვი სათამაშო როდია. ყურადღებასა და მოვლა-პატრონობას მოითხოვს! უკვე გამოდიხარ? გელოდები. ტაქსს დაქერა არ დაგავიწყდეს!

მან ყურმილი დადო და საათს დახედა. უკვე მთელი ასოცი წუთი გასულიყო ამ მომენტიდან, როდესაც ვაჟიშვილს შეხვდა. მეოცესთან განმარწმენებიდან კი ოთხი წელი იყო გასული.

ვესლავა ლუბკოვსკა.
პოლონელი მწერალი.



ხელოვნების ქრონიკა

ნაუოფიერია ახალი სეზონი ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრში. მაყურებელთა მოწონებით სარგებლობს თეატრის ახალი დადგმები: რ. ქორქიას „ნიკოლაძე“, ს. ბეგიაშვილის „უცნობი“, გ. ბერიაშვილის „ტრიფები მტკვრის პირას“, შ. მახარობლიძისა და შ. ჭულუხაძის „ცრუპენტელა“. ეს სპექტაკლები თეატრმა უჩვენა აგრეთვე ხობისა და ლანჩხუთის რაიონების მშრომელებს.

კ. კოპაძიძე.

თელავი. (საკ. კორ.). თელავის ძაფსახვევ-საგრები ფაბრიკის მუშათა კლუბის დრამატულმა კოლექტივმა წელს არსებობის 27 წელი იზეიმა. მას უცვლელად ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ხელთიპირელი. დრამატულმა კოლექტივმა ახლახან წარმოადგინა ა. ცაგარლის „ციმბირელი“.

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ახალგაზრდულმა თეატრმა — „იუნოსტმა“, რომელიც სოხუმის მერვე საშუალო სოლასთან არსებობს, წარმოადგინა ი. აპუშკინის „პატივის მონა“, ანტონ ჩეხოვის „დათვი“ და ალექსანდრე პუშკინის „ბოშები“.

ნ. მიქაშავიძე.

„კონსული მოიპარეს“

საბჭოთა დრამატურგის გ. მდივანის პიესა „კონსული მოიპარეს“ ფართოდ არის ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ქალაქ ნორდჰაუზენის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა გადწყვიტა მაყურებლისათვის ეჩვენებინა ეს პიესა. დამდგმელად მოიწვიეს მოსკოვის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის რეჟისორი ვ. მონასტოვი და მხატვარი ვ. კლოტი. (საქდესი).

ახალი ეკეკეი · ცნობები

სახალხო მასწავლებელი ერეკვნელი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის საზოგადოებრივობამ აღნიშნა ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის [illegible] ლეს დაბადების 100 წლისთავი.

ალ. გარსევანიშვილი წლების მანძილზე მუშაობდა ქუთაისში. იგი იყო სახალხო საკვირაო სკოლების ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ივ. ვარლამიშვილმა.

საღამოზე მოგონებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები ე. მიქელაძე და პ. ხმალაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ხონელი, კინოოპერატორი ვ. ამაშუკელი.

სხეულად პიონერებზეთან

ლენტეხი. (საკ. კორ.). თეკალის საშუალო სკოლის პიონერებმა და მასწავლებლებმა შეხვედრა მოუწყეს დიდი სამამაცო ომის მონაწილე თანასოფლელებს გ. მუკანანაძს, ა. ლიპარტელიანს, ვ. ზურაბიანს, ნ. ბაბლუანს და ჯ. ჯამბურიძეს.

ომგადახდილ გმირებს გულთბილი სიტყვებით მიმართეს სკოლის დირექტორმა შ. ბარდაფხაძემ და XI კლასის მოსწავლემ ფ. მუკანანაძმა. მებრძოლებმა პიონერებს მოუთხრეს ცალკეულ საბრძოლო ეპიზოდებზე.

ზღვა გაგრაში ზამთარშიც ისეთივე ლაჟვარდოვანია, როგორც ზაფხულში. ვის არ დაენანება ისე წავიდეს აქედან, რომ ერთხელ მაინც არ იბანაოს მის ზვირთებში!

მე-17 პარტყრილობის სახელობის დასასვენებელ სახლში იზრუნეს იმისათვის, რომ დამსვენებლებს ჰქონდეთ სპეციალური ზღვა მთელი წლის განმავლობაში. ზამთრის საცურაო აუზის მინის გუმბათქვეშ დამსვენებლები ახლა იბანავებენ გამთბარ ზღვის წყალში მთელი წლის განმავლობაში.

400 კვადრატული მეტრი წყლის ზედაპირი საკმარისია იმათთვისაც კი, ვინაც უყვარს ზღვის ტალღებში შორს შეცურება. მართალია მინის კედლებიდან და გუმბათიდან იქუიტება მზე, აქ დადგეს თავისი მნათობიც. ზედ „ზღვის“ პირას თვალსაჩინოვრელად ანათებს ქვარცის ნათურა, რომლის სხივებქვეშ მობანავენი მზეზე შავდებიან ექიმების მეთვალყურეობით.

სურათზე: ბანაობა ხელოვნურ ზღვაში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

მოკლედ

▲ **მაიაკოვსკი.** მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ასი კითხვა-პასუხის საღამომ, რომელიც ახლახან გაიმართა დიმის კულტურის სახლში. 300-ზე მეტ მშრომელს დასმულ კითხვებზე უპასუხეს ავრონომებმა, ექიმებმა, ფიზიკოსებმა, ქიმიკოსებმა, ისტორიკოსებმა.

აქვე მოეწყო თვითნასწავლი მხატვრის მურმან მინაძის ნამუშევრების გამოფენა.

გ. მეტანაძე.

▲ **ამბროლაურის** რაიონის სოფელ ჭყეიშში მოეწყო საკოლმეურნეო რადიოკვანძი და საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ადგილობრივი რადიოგადაცემათა რედაქცია, რომლის რედაქტორად მასწავლებელი თამარ წულაძე. ახლა სოფლის მშრომელები კვირაში სამჯერ ისმენენ შიდასაკოლმეურნეო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ახალ ამბებს.

აკ. კერესელიძე.

▲ **ამას** წინათ ახალსოფლის (ცხაკაიას რაიონი) კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ხანძარი გაჩნდა, რომელიც ბეწზინსაცავის მიმართულებით ვრცელდებოდა. კოლმეურნეობის სახანძრო რაზმის უფროსის გიგი ბოგიას და კოლმეურნე მირო ხორციას ფხიზელი, მამაცური მოქმედებით ორ კოლმეურნეთა დახმარებით ხანძარი ჩაქრობილ იქნა.

ხ. კუპაკა.



ჩემპიონატები • ტურნირები

პრასახარბიელო სტარტი

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) 0:2 (0:0). თბილისი. 7 აპრილი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. მსაჯი — ხ. სერპინიანი (ერევანი).

„ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — **კუზნეცოვი, ტრუსოვი, პისკუნოვი** (ვლადიმიროვი), **პოლიშვაიკო, შელიხოვი, აბრამოვი, ტიხონოვი, კოროტაევი, ეპიშინი, ივანოვი, ბრიაბინი; „ლოკომოტივი“ (თბილისი)** — **ძიძიგური, რიდმანი, ჩუბინიძე, წიკვნავაძე, კიზირია, ისიანი, შუმლაძე, კოშკელოვი, აპრესიანი** (შეტერეული), **სირაძე, ძაგანია.**

სტარტზე წარემატებლობის შემდეგ თბილისის ლოკომოტიველებისაგან ძალთა მობილიზებას და დაკარგული ქულების ანაზღაურებას მოველოდით. მაგრამ მოხდა პირიქით — მასპინძლებმა კვლავ წააგეს მატჩი.

სამწუხაროა ასეთი დასაწყისი — ზედიზედ ოთხი ქულის დაკარგვა და ისიც საკუთარ მოედანზე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გუნდი ჯერ კიდევ არ არის სასურველ ფორმაში, ფეხბურთელებს არ ესმით ერთმანეთის, გადაცემები ხდება უმისამართოდ, კარზე მოიერიშეებს ვერ ვხედავთ.

ყოველივე ეს ნათლად აისახა გუშინდელ მატჩში. პირველი ტაიმის უფერული ბრძოლას შედეგი არ მოუცია. მეორე ნახევარში სტუმრები მეტი მოდომებით და საზრიანად თამაშობდნენ. დასაწყისშივე მცველთა შეცდომა კარგად გამოიყენა ბრიაბინმა და ანგარიში გახსნა. მალე ამას ეპიშინის მეორე გოლი მოჰყვა. თბილისელებმა ვერ შეძლეს წონასწორობის აღდგენა და წააგეს მატჩი 0:2.

პ. კერესის პირველი გამარჯვება

გუშინ რიგაში დაიწყო პირველი მეოთხედფინალური ასპარეზობა ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე. აქ პაექრობა აქვთ ბ. სპასკისა და პ. კერესს. პრეტენდენტთა მატჩის პირველ პარტიაში თეთრებით ბ. სპასკი თამაშობდა.

პ. კერესი ზუსტად და მისთვის ჩვეული სიდინჯით თამაშობდა. მალე იგი თვითონ გადავიდა შეტევაზე და 34-ე სვლაზე აიძულა მეტოქე თავი დამარცხებულად ეცნო.

ამრიგად, პ. კერესმა სტარტზე პირველი ქულა მოიპოვა.

„ბანთიადის“ ჩემპიონატზე

დამთავრდა „ბანთიადის“ საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც 16 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა.

საუცხოო შედეგი — 12 ქულით 15 შესაძლებლიდან — პირველი ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა **გ. კალატოზიშვილმა** (თბილისი). მან უფლება მოიპოვა ითამაშოს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში.

ბუნებისმეტყველების სტადიონებზე

□ **ჩეხოსლოვაკიის** ფეხბურთელთა ჩემპიონატზე მოეწყო 18 ტური. გათამაშების ლიდერია „სპარტაკის“ გუნდი, რომელსაც 29 ქულა აქვს.

□ **უნგრეთის** პირველობაზე წარმატებით აიღო სტარტი „უიჰეშის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა. განვლილ ოთხ მატჩში მას ქულა არ დაუკარგავს.

□ **ჰოლანდიის** ჩემპიონატზე ლიდერია „ფეიენოორდის“ ფეხბურთელთა გუნდი. იგი უახლოეს მეტოქეს 10 ქულით უსწრებს.

□ **შამონში** გაიმართა საფრანგეთისა და ჰოლანდიის ნაკრებთა მატჩი. გამარჯვეს ფრანგმა ფეხბურთელებმა 3:1.

▲ **მადრიდში** გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ესპანეთის ნაკრები შეხვდა ლიეჟის „სტანდარდს“ (ბელგია) და გამარჯვა ანგარიშით 2:1.

„ინდეპენდიენტე“ — ფინალში

ლათინური ამერიკის ქვეყნების თასის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. მეორე ფინალისტი უნდა გამოვლინდა არგენტინის ორი გუნდის — „ინდეპენდიენტესა“ და „ბოკა ჰუნიორსის“ მატჩს. მეტოქეებმა განვლილ ორ მატჩში თითო გამარჯვება მოიპოვეს. უველაფერი დამოკიდებულ იყო მესამე შეხვედრაზე, რომელიც ბუენოს-აირესში გაიმართა.

90 წუთი უშედეგოდ დამთავრდა. არც დამატებით დროში გაუტანიათ მოწინააღმდეგეებს ბურთი. ასეთ შემთხვევაში ფინალში გასვლის ბედი გადწყვიტა ბურთების თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებისათვის. ეს შეჯიბრება გაიმართება პოლონეთში მიმდინარე წლის სექტემბერში. თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ — სსრ კავშირის, იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბრაზილიის, ჰოლანდიის, მექსიკის, საფრანგეთის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და პოლონეთის გუნდები.

◆ საგზოთა ნაკრების დაგრუნვა

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა წვრთნა იუგოსლავიასა და იტალიაში და 6 აპრილს სამშობლოში დაბრუნდა. ნაკრების წევრები თავიანთ კოლექტივებს შეუერთდნენ და მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ჩემპიონატში.

„ბუენოსაირესი“ — „სპორტი“

სპორტული ქრონიკა

გუშინ მოსკოვიდან მილანში გაფრინდა სსრ კავშირის ჩემპიონი წყალბურთში — სამხედრო საზღვაო ფლოტის გუნდი. იგი მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების დასკვნითს შეჯიბრებაში. გარდა საბჭოთა წყალბურთელებისა ფინალურ ტურნირში გამოვლენ — ბელგრადის „პარტიზანი“, მაგდებურგის „დინამოს“ და იტალიის „პროვერეგის“ გუნდები. ასპარეზობა 9 აპრილს დაიწყება და სამ დღეს გაგრძელდება.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა მოეწყოს მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა გუნდებისათვის. ეს შეჯიბრება გაიმართება პოლონეთში მიმდინარე წლის სექტემბერში. თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ — სსრ კავშირის, იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბრაზილიის, ჰოლანდიის, მექსიკის, საფრანგეთის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და პოლონეთის გუნდები.

◆ ჩემპიონატის სტარტზე

დღეს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა კოლექტივები იწყებენ საკავშირო ჩემპიონატს. ბრძოლის პირველი ეტაპი შედგება კიევსა და ლენინგრადში. ასპარეზობა კიევში გაიმართება 8-დან 13 აპრილამდე, ლენინგრადში — 17-დან 22 აპრილამდე.

სსრ კავშირის ჩემპიონი — თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდი მოხვდა კიევის ჯგუფში. აქ თბილისელებთან ერთად გამოვლენ მოსკოვის „ტრუდის“, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის, კიევის „ბურევესტნიკის“, მოსკოვის „სპარტაკისა“ და ქალაქ ტირასპოლის გუნდები.

დასკვნითი შეჯიბრება თორმეტივე გუნდის მონაწილეობით შედგება თბილისში 10-დან 17 სექტემბრამდე.

◆ ◆ ◆

ხუთშაბათიდან, 8 აპრილიდან თბილისის ეკრანებზე კინომაყურებლებს შეუძლიათ ნახონ ორი ახალი მხატვრული ფილმი.

„პალატა“.

სცენარის ავტორია ხ. ალიოშინი, დადგმა გ. ნათანსონისა.

კინოსტუდია „მოსფილმის“ ნაწარმოები.

დოკუმენტური ფილმი „მაია კლისეცკაია“

სცენარის ავტორია ვ. კომისარჟევსკი, რეჟისორი — ვ. კატანიანი.

დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ნაწარმოები.



სურათზე: კადრი ფილმიდან „პალატა“.

◆ ◆ ◆

დირექტორიის დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 აპრილს დღის 12 საათზე № 93 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გიორგი გრიგოლის-ძე გველესიანი** დაიცავს დისერტაციის თემაზე: „სოციალისტური წარმოების განვითარების და განლაგების საკითხები საქართველოს სს რესპუბლიკაში“.

28 აპრილს დღის 12 საათზე № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 8) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **სარა შუმაფის ასული აუტლევა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „XVI-XVII საუკუნეების ადიღეური ხალხური ხაისტორიო-საგმირო სიმღერები“.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

მეღიცინის სიახლენი

ფებო ქირურგიული ძაფის ნაცვლად

თვითეული ქირურგი ცოტაოდენ მკერავია. ნემსი და ძაფი მისი ისეთივე განუყოფელი ატრიბუტებია, როგორც სკალპელი. ოღონდ ქირურგს ცოცხალი ქსოვილის ჭრა და კერვა უხდება. ოპერაციისშემდგომი განაკერი, ნაჭრილობევი, მთელ სიცოცხლეში რჩება და მოაგონებს ადამიანს გადატანილ საქმიმო ჩარევას. ეს სასიამოვნო არ არის, მაგრამ მას შეიძლება ყოველი ქირურგი შეურიგდეს, გარდა ვოსმეტოლოგისა.

კოსმეტოლოგები ყველა საშუალებით ცდილობენ შენიღბონ თავიანთი ჩარევის ნაკვალევები. მიზნისაკენ მიმავალი ყველა გზიდან ისინი ხშირად ირჩევენ ყველაზე რთულს, უბერსულს, ოღონდ კი უფრო ლამაზი იყოს; იყენებენ უწმინდეს ძაფს — აბრეშუმს, თმას, სინთეზურ ნართს. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, აუმჯობესებს ნაჭრილობევის გარეგან სახეს, მაგრამ საკმარისად ვერა.

როცა ექიმი გაჭრილ ადგილს კერავს, იგი ვერ აღწევს აბსოლუტური სტერილობას. კანში ნემსს გაუყრის, შიგ ძაფს გაატარებს და კანქვეშა უჯრედებში აუცილებლად შეაქცევს მიკროორგანიზმები, რომლებსაც შეუძლიათ გაამლიერონ ანთებითი პროცესები. ნაკერები აწვავა ჭრილობის კიდეებს, თვითეული განაკერის ქვეშ ირღვევა სისხლის მიმოქცევა და კანზე რჩება წარეშლელი კვალი.

ნაკერები, არსებითად, დროებითი ღონისძიებაა. ისინი ანალოგებენ ჭრილობის კიდეებს, ვიდრე ორგანიზმი თვითონ, საკუთარი ძალებით გამოასწორებდეს დაზიანებას, და ჭრილობის ადგილზე ნაჭრილობევი გაჩნდებოდეს.

ბუხრცების ნეიტრალურ დამხმარედ დიდხანს ცდილობდნენ გამოეყენებინათ სხვადასხვა მწებავი სალბუნი, მაგრამ ამას დიდი წარმატებები არ მოჰყოლია. იგი ჰაერს არ უშვებს, კანს აღიზიანებს. მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ ქიმიამ მედიცინას შესთავაზა შემწებებელი ნივთიერებანი, რომლებშიც ბორმონებისა და ანტიბიოტიკების შეყვანაც კი შეიძლება და ამით შეხორცების პროცესი დაჩქარდება.

მომავლის ქირურგებს შეეძლებათ შეაწებონ არა მარტო კანი, არამედ შინაგანი ორგანოები და სისხლძარღვებიც. შინაგანი ორგანოების შესაწებებლად, რა თქმა უნდა, საჭიროა განსაკუთრებული წებო, რომელიც, თავის საქმეს რომ გაკეთებს, უკვალოდ გაქრება, გაიწოვება.

სული სხვაა კანის შეწებება. ამის გაკეთება ახლაც შეიძლება. მოსკოვის საჭიმო-კოსმეტიკურ სამკურნალოში შექმნილია და იხმარება ახალი ორიგინალური შემწებებელი მასა, რომელიც არ აღიზიანებს კანს და მტკიცედ აერთებს ჭრილობის კიდეებს. ჭრილობის შესახორცებლად საჭიროა განაჭერის კიდეების ძალიან ზუსტად მიახლოება ერთმანეთთან და ზემოდან წებოთი გაფენითილი ბადურა ქსოვილის ზოლების დადება. ამასთან თვალყურს ვადევნებთ, რომ წებო არ მოხვდეს ჭრილობის კიდეებს შუა.

ჩვენი სამკურნალოს ქირურგების ანგარიშზეა უკვე 3000-ზე მეტი შეწებებული ჭრილობა — დიდიც და პატარაც. შედეგი იმდენად გასაოცარია, რომ ყველა, ვისაც კი ერთხელ გამოუყენებია ახალი მეთოდი, აღარასოდეს არ იტყვის მასზე უარს. ნაჭრილობევი გამოდის თანაბარი, სწორი, სიწვრილით არაუმეტეს თმისა, მისი დანახვა საკმაოდ ძნელია. ახლა უკვე შეიძლება დაისვას საკითხები ოპერაციისშემდგომი ჭრილობების სპეციალური ამოკვეთის შესახებ. ჩვენ მიერ შეწებებულ ჭრილობათა მეტ წილს შეადგენს სწორედ ყოფილი ნაჭრილობევები, წინანდელი,